

*პროფ. გურამ ყიფიანი***გომარეობის მეგალითური დასახლების ბანაშენიანებისა  
და სამშენებლო ტექნოლოგიის საკითხები**

ეს დასახლება განფენილია მკვეთრად დაქანებული ტყიანი კბოლეს ძირში, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე და გრძივად მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

არქეოლოგიური დაზვერვის მოგადი მონაცემებით (რაც კვლევის ამ საფეხურზე დიდად ჭირს, დასახლებაზე განვითარებული უღრანი ტყის გამო), მისი ფართობი 4-5 ჰა-ს უნდა მოიცავდეს.

ყველა ნაგებობა, რომელიც, კი ამ ადგილზე მოვიხილეთ გრძივია, დასახლების განაშენიანების სისტემა, კი გერასული. გერასებს აკონკრეტებს ქუჩები, მათი სიგანე ყველგან 4-5 მ-ია, და ძნელია მათ ვუწოდოთ ბილიკი ან გზა და ა.შ. ე. ი. გერასის დონე შეთავსებული ჩანს ქუჩის დონესთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ტყემ შეინარჩუნა ქუჩები. ხეები ამოიბარდა საკედლე ლოდებს შორის, ნაგებობათა შიდა სივრცეში, მაგრამ არა ქუჩებზე, რადგან იგი მოგებულია ბაზალტის ფილებითა და ბლოკებით და ამდენად აქ ფესვები ვერ განვითარდა.

სამშენებლო მასალად მხოლოდ ბაზალტია გამოყენებული – ეფუმიური და კაინოტიკური ვულკანური ქანიდან გამოცალკევებული ლოდები, ძორითადად მკვრივი ტექსტურისა; იშვიათად ფოროვანი ნიმუშებიც გვხვდება.

კედლები აგებულია ყოველგვარი შემაკავშირებლის გარეშე, ნაქერებში ტალახიც, კი არ დასტურდება. ლოდები დაუმუშავებელია და წყობაში გვერდებით მეგ-ნაკლები წარმატებით უთავსდება ერთმანეთს. ე.ი. ესაა ისეთი წყობა რომლის აღსანიშნავად დამკვიდრებულია გერმინი „ციკლოპური“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამ გერმინის დამკვიდრებისა და წარმოშობის შესახებ იხ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, მასალები არქაიკული მონუმენტური ხელოვნების ისტორიისათვის. თბილისი 1938 გვ. I და შმდ; სამეცნიერო ლიგერაგურაში მსგავსი კედლები ლესბოსური წყობის სახელითაც მოიხსენიება იხ. R.L. Scranton, Greek Walls, Cambridge, Massachusetts, 1941, გვ. 25-44. ციკლოპური სიმაგრეების შესახებ იხ. აგრეთვე J-P. Adam, L'architecture Militaire Grecque, Paris. 1982, გვ 16 და შმდ; განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი პერიოდის პუბლიკაცია – G. Narimanisvili, N. Sansasvili, Zu de Zyklopischen Siedlungen in Trialeti, Georgica, Heft 24, Jahrgang 2001, Kornplatz, გვ. 5 და შმდ.

ბაზალტის კარიერი იქვეა, კბოლეს თავში, მასივიდან გამოცალკეებული ლოლები სამშენებლო მოედანზე დაგორებით, ბერკეტთა გამოყენებით მოხვდებოდა (გაბ. VIII). ჩვენ მოვიხილეთ ეს კარიერი და როგორც სჩანს ე.წ. „ქვასაგებები“ აქ უკანასკნელ დრომდე ფუნქციონირებდა. აქ ჩანდა გათლილი, ვერგატანილი, თუ დაუსრულებელი საფლავის ქვები პრიმზული და სარკოფაგისებური ფორმისა, სამშენებლო კვადრები და სხვ.<sup>2</sup>

საქართველოს გეოლოგიური რუკის მიხედვით სამხრეთ საქართველოს ბაზალტის პლატოს აღმოსავლეთი საზღვარი, სადაც ამ არეალს თანხვდება.<sup>3</sup>

ნაგებობანი უმარტივესი სახისაა, ესაა გრძივი დარბაზები, ურთიერთპარალელური კედლებით (გაბ. I), მაგრამ გვხვდება გამონაკლისებიც – მაგ. ნაგებობა N2 მისი წინა, ხევისაკენ მიმართული ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი მრუდხაზოვანია (გაბ. VI). კედლების სისქე 2 მ-დან 2,60-მდე მერყეობს. კართა ღიობები არქიტრავებით სრულდებოდა, ასეთი სამი შემთხვევა დავადასტურეთ. N2 ნაგებობის კარის არქიტრავეი განიკვეთიში ექვსკუთხაა და ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მას ხელოვნურად აქვს ეს სახე მიცემული, მაგრამ ბაზალტის მასივებს ახასიათებთ შიგა და შიგ მრავალკუთხა, განცალკევებადი, სვეტისმაგ-ვარი ბლოკების ერთობლიობანი.<sup>4</sup>

კიდევ ერთი რამაა აღსანიშნავი: ერთად-ერთი (ჯერჯერობით) გამონაკლისის გარდა (კვლავ N2 ნაგებობა), კართა ღიობები, სულერთია იგი ნაგებობის განივ კედელშია გამართული თუ გრძივში, იგი აუცილებლად კუთხეშია შექმნილი და ამას აპირობებს როგორც ჩანს მშენებლობის ტექნოლოგია და არა ვთქვათ, რაიმე ჩვენთვის უცნობი რელიგიური წარმოდგენა.

ამას გარდა კარის ღიობები, მიუხედავად ნაგებობის მასშტაბისა ყველგან 1, 40 მ-ია, ჯერჯერობით ძნელია ვისაუბროთ რაღაც მოდულის მაგვარ განზომილებაზე, ისე კი ვფიქრობთ, რომ ეს „უცნაურობაც“ სამშენებლო ტექნოლოგიას უკავშირდება.

<sup>2</sup> ასეთი „ქვასაგებები“ საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდნენ. ვანის ძველი ქალაქი აგებული სოფ. ყუმურთან (ვანიდან 8 კმ-ის დაშორებით) მოპოვებული ქვიშაქვით. თანამედროვე სახლების ასაგებად კვლავ ამ კარიერს იყენებენ და იქ არცთუ იშვიათად ელინისტური ხანის არქიტექტურულ დეკორებს პოულობენ – მაგ. აგიკური გიპის ბაზისს. იხ. გ. ყიფიანი, არქიტექტურული დეკორები, თბ. 1993, გაბ. XX1,5

<sup>3</sup> Атлас грузинской советской социалистической республики, Тб-М. 1964. რუკა 17-18

<sup>4</sup> Четырехязычный энциклопедический словарь терминов по физической географии. Составитель проф. И.С. Шикин. М. 1980. გვ. 41

აქ დაფიქსირებული ნაგებობანი გრძივი დარბაზებია და ალბათ ჰორიზონტალურ-კოჭოვანი გადახურვით სრულდებოდა. „ციკლოპური“ სიმაგრეების მიმართ გამოთქმული აზრი, რომ ქვის სტრუქტურები წარმოადგენდა ცოკოლს ალიზის წყობისათვის<sup>5</sup>, ფრიად ძნელი სარწმუნოა: ალიზის წყობა ეფინება მხოლოდ და მხოლოდ მკაცრად ნიველირებულ ქვის „ბაქანს“. გომარეთის ნაგებობაზე არ დასტურდება ქვის დამუშავების მაგალითები.

როგორც აღინიშნა, ნაგებობანი გერასულადაა განთავსებული, სიგრძივად, ერთმანეთის მიყოლებით. ჯერ-ჯერობით არ ჩანს დასახლების ცენტრი, არ ჩანს არც ის ღომინანტი, რომელიც გააკონტროლებდა დასახლებას და მის მიმდებარე, დასაცავ გერიტორიას და რაც მთავარია, არ ვიცით, მას ჰქონდა თუა არა საფორტიფიკაციო სისტემა; რამაც შეიძლება, რომ მიგვანიშნოს თავდაცვით სისტემაზე, ერთადერთი დეგალია: ესაა ქუჩისქვეშა გასასვლელი, „დრომოსი“, ე.წ. „პოსტერნა“, ანუ საიდუმლო კარი, რომელიც №4 ნაგებობაში დადასტურდა (ტაბ. IV-V). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მტრული მოქმედებების დროს თანდათანობით ხდებოდა მოსახლეობის ერთი გერასიდან, შემდგომ, ზედა გერასაზე გადაზიდვები.

ამ ნაგებობათა მიმოხილვისას ყურადღებას იქცევს, არა ფთქვით არქიტექტურული კომპოზიციის საკითხები, არამედ მათი სამშენებლო ტექნოლოგია და ორგანიზაცია. ზოგიერთი საკედლე ლოდი თავის მასით დიდად სცილდება  $M^3$ . არადა,  $M^3$  ბაზალტის წონა 2800-იდან 3200 კგ-მდე აღწევს<sup>6</sup> და ბუნებრივია, რომ გაჩნდეს კითხვა – რა საშუალებით შეიძლებოდა, რომ კედელში, თუნდაც 2-3- მის სიმაღლეზე მოხვედრილიყო სამგონიანი ლოდი და თანაც ისე, რომ იგი უკვე დაწყობილ, დაშენებულ ლოდებს შეთავსებოდა დაუმუშავებელი გვერდებით.

მექანიკური დანადგარების წარმოდგენა აქ, მაშინ, როცა ქვა ოღნავადაც კი არ არის დამუშავებული, ყოველად წარმოუდგენელია და ისედაც ასეთი „მანქანები“ გამოიყენებოდა დამუშავებული, თუნდაც პოლიგონალური, მაგრამ ისეთი საკედლე ქვისთვის, რომლის გვერდები საგანგებოდ იყო გათლილი და შეიცავდა „კონსტრუქციულ“ ელემენტებს: ნაშვერებს, ღარებს ღვედებისათვის, ღრმულებს კავისათვის და ა.შ.<sup>7</sup>

<sup>5</sup> ირ. ციციშვილი. კვლავ ციკლოპური ციხეების მნიშვნელობის შესახებ. ძეგლის მეგობარი, №2 (101) თბ. 1998, გვ. 6-7; Б.Б. Пиотровцкий, Археология Закавказья, М. 1949. გვ. 57 და შმდ.

<sup>6</sup> Политехнический Словарь, М. 1989. გვ. 44

<sup>7</sup> S. Clarke, R. Elgelbach, Ancient Egyptian Construction and Architecture, N9. 1990, გვ. 78 და შმდ; Orlandos, Les Matériaux de Construction et la Technique Architecturale des Anciens Grecs, Seconde Partie, Paris, 1968, გვ. 71 და შმდ.

ციკლოპურ ციხეებზე კიდევ შეიძლება წარმოვიდგინოთ ბერკეტების საშუალებით ლოდების მოძრაობა. ამ სიმაგრეების კედლის შედგენილობაში შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს კედლის ცალკეული დიაგონალური მასივები თუნდაც ოზნიში (ლობო)<sup>8</sup> ან დაშბაშში (თრიალეთის ახალქალაქი)<sup>9</sup> ან ავრანლოში<sup>10</sup>, (ყველა თრიალეთი), აგრეთვე სიმაგრე ზილდეა მაშილ-ში (შიდა ქართლი, დიდი ლიახვის სათავესთან)<sup>11</sup> და არა მარტო აქ. არამედ ყველგან, სადაც, კი დაუშუშავებელი დიდრონი ლოდებით იგება სიმაგრეები მაგ. სიმაგრე კასტრაკიში (არგოლიდა)<sup>12</sup> ან ყალეჰ-ნაჰარი-ში (ირანის ამერბაიჯანში)<sup>13</sup> და ა.შ. ტაბ. VII

კედლის შედგენილობის ეს დიაგონალური მასივები ქმნიდა ერთგვარ შუალედურ პანდუსებს ახალი მასივის შესაქმნელად. სწორედ ასეთი დახრილი კალთის საშუალებით მიმართავდნენ ლოდს ბერკეტის გამოყენებით სიმაღლისაკენ. ეს სავსებით გასაგებია, რადგან ციკლოპური სიმაგრე აღიმართებოდა „მწვერვალზე“ და ლოდს მიმართავდნენ ქვემოდან ზემოთ. სრულიად სხვა სურათია ჩენს შემთხვევაში – ლოდი აქ მიმართულია ზემოდან ქვემოთ და ამას გარდა გომარეთის ნამოსახლარის არც ერთ ნაგებობაში ლოდების დიაგონალური მასივები არა ჩანს.

ციკლოპური კედლები აქაც და თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში ორი ძირითადი შრისაგან შედგება: გარე და შიდა პირისაგან, შუაში, კი, მათ შორის შედარებით წვრილი ქვა და ანაკვეცივია ჩაყრილი. ჩვენთან შუალედური შრე ძალიან ვიწროა, თითქმის არ არსებობს და ამას გარდა კიდევ რამდენიმე „უცნაურობა უნდა აღინიშნოს: ჯერ ერთი ნაგებობათა კუთხეებს არ გააჩნიათ წყობა, – ანუ ერთი კედლის შემადგენელი ლოდი არ იჭრება მომიჯნავე კედლის შედგენილობაში (ტაბ. II-III), ისინი უბრალოდ მჭიდროდ ებჯინებიან ერთმანეთს. ე.ი. ყოველი კედელი აგებულია ცალკეულად და არა კომბინირებულად. ამას გარდა თვალსაჩინო განსხვავებაა კედლის მხარეებს შორის, კედლის ერთი პირი თითქოს საგანგებოდ დიდი ლოდებით (საშუალოდ 1,5 M<sup>3</sup>), ხოლო მისი პარალელური მეორე პირი შედარებით მცირე ზომის (0,4-0,5 M<sup>3</sup>) ქვებითაა ნაგები (ტაბ. I, II). ეს სავსებით ცხადად შეინიშნება ყველა ნაგებობაზე. მაგ. N1 ნაგებობას აღმოსავლეთით კედლის აღმოსავლეთ და დასავლეთ

<sup>8</sup> გ. აბრამიშვილი, პ. მაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთ-მოძღვრების ისტორია, თბ. 2000, გვ. 253.

<sup>9</sup> ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური ... ტაბ. XIX.

<sup>10</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური ... ტაბ. VI

<sup>11</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური ... ტაბ. IX

<sup>12</sup> F.E Winter, Greek Fortifications, London, 1971, გვ. 86.

<sup>13</sup> W. Kleiss, Forgeschichtliche, Urartäische und Mittelalterliche Burgen in Ost-azerbaidjan, Archeologische Mittailungen aus Iran B 14, 1987, გვ. 9-11, ტაბ. 2

პირებს შორის განსხვავება სრულიად აშკარაა, ისევე როგორც ამავე ნაგებობის სამხრეთ კედელში, აქ ხომ ჩანს, რომ ძირა სამხრეთის ლოდს სიმაღლეში ჩრდილოეთის მხრის საპირე წყობის სამი ქვა შეესაბამება (გაბ. I).

თუ თავს მოვუყრით გომარეთის ციკლოპური ნაგებობებისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს გამოვა, რომ ლოდებით აგებული კი არაა კედლები, არამედ ჩალაგებულია საკედლე ყალიბში და ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ტერასაზე დაკვალული და შესაბამისად შექმნილი თხრილები, რაშიდაც თანდათანობით დაფიქსირდებოდა საკედლე ლოდები; აქ სავსებით შესაძლებელია, რომ ლოდს ბერკეტებით სასურველი მდგომარეობა მისცემოდა (გაბ. IX). გამიშვლებულ კედლის ფართობზე, კი ეს შეუძლებელია, ლოდი უბრალოდ ქვემოთ გადავარდებოდა.

ამიგომაც ვერ იქნება ნაგებობის კუთხეები „აგებული“, ანუ შექმნილი ურთიერთმონაცვლე ლოდებით. შედარებით მცირე ზომის ლოდებს ჩალაგებულია საკედლე ყალიბში სწორედ იმ მხრიდან, საიდანაც ისინი მიემართება, იმიგომ, რომ ბერკეტებს საყრდენები სჭირდება, და ლოდებისათვის შესაბამისი მდგომარეობის მინიჭებაც ამ მხრიდან იწარმოებდა.

სრულებითაც არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ ამ დასახლებაზე ყველა ნაგებობა მაინცაღამაინც ამ მეთოდით აიგო, ისედაც ეს მოსაზრება მხოლოდ წინასწარულია, რომელსაც შემდგომი კვლევა-ძიება ან უარყოფს, ან დაადასტურებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ კარნი მაინცაღამაინც კუთხეებში იმართებოდა – ამ მოსაზრებას დამატებით უჭერს მხარს.

კიდევ ერთხელ შევავლოთ თვალი № 1 ნაგებობის გეგმას. მისი გრძივი კედლები არასწორხაზოვანია (გაბ. I). რამ განაპირობა თავდაპირველი აღმოსავლეთ კედლის ამგვარი მოხაზულობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მისი პარალელური, ასევე გრძივი კედელი მუსგად იმეორებს მის მოხაზულობას. დაგვერწმუნებით ალბათ, რომ თუ არა „ყალიბი“, ასეთ რამეს, 4 გონიანი ლოდებით ვერანაირი სამშენებლო ძალა და ტექნოლოგია ვერ განაპირობებდა.

როცა ნაგებობის მასივი თხრილებში შეიკვრებოდა, ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო მისი მიწისაგან განთავისუფლების თანაბარი და გეგმაზომიერი, მშვიდი პროცესი. შესაძლოა, რომ კარის ღიობის სიგანის ნორმა 1. 4 მ-ი, მიწის გაგანის მოხერხებულ სქემასთან იყოს დაკავშირებული.

ჩვენი ყურადღება მიიქცია № 5 ნაგებობის სამხრეთი პირის ერთმა დეგალმა, სადაც, ვფიქრობთ, თვალნათლივ ჩანს, რომ ლოდებით

კელის „გარსი“, აგებული კი არ არის, არამედ ჩაგებულია, ჩაფენილია.

თუ მშენებლობის ამ პროცესს წარმოვიდგინებთ, მაშინ ჩვენს თვალწინ გამოიკვეთება მისი დაგეგმვის საფეხურებიც – სამშენებლო ორგანიზაცია. ჯერ უნდა შექმნილიყო უკიდურესი ქვედა გერასის ნიველირებული სამშენებლო მოედანი და მასზე დაკვალიყო საკელე კონტური და მის შესაბამისად შექმნილიყო „ყალიბი“ (თხრილი) საკარე დიობის გათვალისწინებით. შემდეგ, ერთერთი განივი კედელი და ა.შ. გერასის გასრულების შემდეგ შეიქმნებოდა მომდევნო სამშენებლო მოედანი და ასე გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ არ დასრულდებოდა იდეით - „პროექტით“ განსაზღვრული ქმედებები. ეს კი სისტემური აზროვნების შედეგია, რელიეფთან და სამშენებლო მასალასთან შეთანხმებულობის გამოხატვა, ანუ სამშენებლო კულტურა.

კელევის დასაწყის საფეხურზე, მაშინ, როცა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება არქეოლოგიური გათხრებით დადგენილი მკაცრი სტრატეგრაფიული მონაცემები, დასახლების თარიღზე გადაჭრით ვერაფერს ვიგვეთ. ჩვენთვის ერთადერთი ამოსავალი კედლების წყობის სტილია, რაც ზოგადად ქრისტიანულ XIV-XII სს-ით თარიღდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველი სამშენებლო ტექნოლოგია (სწორედ ციკლოპური წყობანი იგულისხმება), შესაძლოა რომ მოგვიანებითაც განმეორდეს, საუკუნეების შემდგომაც<sup>14</sup>. გამორიცხული არააფერია, მაგრამ ასეთი რამ შესაძლოა მოხდეს მაშინ, როცა არსებული ნაგებობის ათვისება ხდება, ვთქვათ სამეურნეო საქმიანობისათვის და აქ აუცილებელია დანამატის წარმოქმნა.

კელის წყობის ხასიათი ყველა შემთხვევისათვის ცხადია ვერ გამოდგება დათარიღებისათვის, რადგან ამა თუ იმ ჩამოყალიბებულ სისტემათა, რომელიც თავისთავად მინიმუმ ეპოქაზე, პარალელურად გვხვდება შემთხვევითი, არასისტემური წყობანიც. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებდა: ნაგებობის დანიშნულება (ვთქვათ, დროებითი სადგომი), დამკვეთის შესაძლებლობანი, ოსტატთა არაკვალიფიციურობა და სხვ. მაგრამ, როცა წყობის ესა თუ ის სისტემა, ამოწურავდა თავის შესაძლებლობებს, მისი აღორძინება, ჩვეულებრივ, ვეღარ ხდებოდა, რადგან ასპარეზზე გამოდიოდა ეპოქის შესაბამისად უფრო რაციონალური და გეგმიკური პროგრესის შედეგად უფრო განვითარებული საკელე წყობათა სტილი. რაც ჩვენს ნამოსახლარს ახასიათებს, - ციკლოპური (ანუ ლესბოსური)

<sup>14</sup> Б.А. Куфтин, Археологические паскопки в Триалети, т.1, Тб. 1941.

წყობა, საფუძველია პოლოგონალური წყობისათვის., რომელიც თავისთავად წარმოქმნის წყობის გრაპეციულ სტილს და ა.შ. მანამ, სანამ არ მივიღეთ ფსევდოსოლომური წყობა<sup>15</sup>. შემდგომ, კი ჯერ რომაულმა ბეგონმა და მერე დუღაბის დამ-კვიდრებამ რადიკალურად შესცვალა საიჟინრო სამყარო.

შეიძლება თუა არა დავუშვათ, რომ გომარეთის ციკლოპური ნამოსახლარი შუასაუკუნეების რომელიმე მონაკვეთში წარმოქმნილიყო? იმასაც, რომ დავანებოთ თავი, რომ აქ კირხსნარის გამოყენების არავითარი კვალი არ ჩანს და თვით ლოდებზე არ შეინიშნება ლითონის იარაღის გამოყენების ნიშნები. ესოდენ დიდ გერიტორიაზე ამ დასახლების შექმნას უზარმაზარი სამშენებლო ძალის მობილიზება დასჭირდებოდა. ფეოდალურ თემებს, კი ეს არ ხელეწიფებოდათ.

მონოლითური ნაგებობების თარიღის დადგენა დიდად რთულდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ათასწლეულებს უძლებენ სწორედ თავიანთი მონოლითებისგან შედგენილი მასების გამო და შემდგომი ეპოქები მას ღებულობდნენ იმ მზამზარეულ სტრუქტურებად, რომლებსაც ახალი ფუნქცია უნდა მინიჭებოდათ. ე.ი. ის მათთვის იყო მოცემულობა;


ეპოქათა ღეფინიცია მონოლითურ ნაგებობებში ხანგრძლივ და სისტემურ კვლევას მოითხოვს.

### გაბულების აღწერილობა

- I. ნაგებობა №1. აქსონომეტრიული ჩანახატი.
- II - III. ნაგებობა №1. ჭრილები.
- IV-V. ნაგებობა №4 „დრომოსი“ გეგმა. გრძივი განაკვეთი, „დრომოსის“ კარი.
- VI. ნაგებობა №2 გეგმა, წყობის ფრაგმენტი.
- VII. ციკლოპურ სიმაგრეთა კედლები: 1. ოზნი(ლობო), 2. დაშაში (თრიალეთის ახალქალაქი), 3. ავრანლო, 4. ბილდე-მაშილი (დიდი ლიხვის სათავეებთან), 5. სიმაგრე კასტრაკო-ში (არგოლიდა).
- VIII. ლოდების განცალკევება ბაზალტის მასივისაგან (ჩანახატი-რეკონსტრუქცია).
- IX. კედლის აგების სავარაუდო სურათი (რეკონსტრუქცია-ჩანახატი).

<sup>15</sup> ძველი სამყაროს სამშენებლო წყობათა შესახებ იხილეთ: R.L. Scrandon, Greec Walls... გვ. 23 და შმდ. აგრეთვე W.Wrede, Attische Manern, Athen, 1933 გვ. 5 და შმდ.

I



II




III







IV  
B



V



VI



## VII



VIII



IX

